

# ჩემი პოლიტიკაში დაბრუნება გარდაუვალია – ივანიშვილი

გაზეთი „კვირის ქრონიკა“ ბიძინა ივანიშვილისა და ემიგრანტების შეხვედრაზე წერს და მათ შორის გამართულ პირად საუბრებს აქვეყნებს.

გამოცემა სანდო წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ ივანიშვილს ემიგრანტებთან შეხვედრის დროს ნახევრად ხუმრობით უთქვამს, „ჩემი პოლიტიკაში დაბრუნება, როგორც ვატყობ, გარდაუვალია, რადგან 2016 წლის არჩევნებს „ქართული ოცნება“ ჩემს გარეშე დამაჯერებლად ვერ მოიგებს და ცხადია, საკუთარ პარტიას ბურგს ვერ შევაქცევ და ვერ ვუღარატებო. თუ ვადამდევი საპარლამენტო არჩევნები გაიმართა, მაშინ აუცილებლად მომიწევს დაბრუნება, რადგან ამ დროისთვის, „ქართულ ოცნებას“ მცირედი კაპიტალი აქვს, ვიდრე ეს 2016 წლისთვის ექნება, პარტიას ბევრი იმედგაცრუებული ადამიანი ჩამოსცილდა და მათი მობრუნება და იმაში დარწმუნება, რომ ამ ეტაპზე „ქართულ ოცნებას“ ადტერნატივა არ გააჩნია, ისევ მე მომიწევსო“- წერია „კვირის ქრონიკის“ მიერ მომზადებულ სტატიაში.

---

# უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, როდესაც მთელი პოლიტიკური სპექტრი და ქვეყანა ერთიანდება ერთი ადამიანის წინააღმდეგ – მარგვედაშვილი

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგვედაშვილი თავდაცვის

სამინისტროს განცხადებასთან დაკავშირებულ მოვლენებს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ძარიან უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, როდესაც მთელი ქვეყანა ერთიანდება ერთი ადამიანის წინააღმდეგ “არ ვფიქრობ, რომ მე უნდა გავაკეთო განცხადებებზე რეაგირების კომენტირება, მაგრამ შემიძრია გითხრა, რომ ძარიან უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, როდესაც მთელი პოლიტიკური სპექტრი და ქვეყანა ერთიანდება ერთი ადამიანის წინააღმდეგ. მე ვფიქრობ, უნდა მივცეთ შესაძლებლობა ადამიანებს, თავიანთი პოზიცია გამოხატონ. ცოტა უფრო მშვიდი რეაგირება უნდა გვქონდეს ასეთ თემებზე”, – აღნიშნა საქარტველოს პრეზიდენტმა.

---

## **ვწუხვარ, რომ ისინი ჩვენი თანაგუნდელები არიან – ჩაფიქვთავდაცვის უწყებაზე**

უმრავლესობის წევრი ედისო ჩაფიქვის თავდაცვის სამინისტროს გავრცელებულ განცხადებას უარყოფითად აფასებს.

“ჩემთვის გაუბეზარია, რატომ გაავრცედა თავდაცვის სამინისტრომ ასეთი პოლიტიკური განცხადება, ვწუხვარ რომ ისინი ჩვენი თანაგუნდელები არიან და იმედია, უახლოეს ხანებში მოვისმენთ განმარტებას, თუ ვისი ინიციატივით გავრცედა ეს განცხადება,” – აცხადებს ედისო ჩაფიქვი.

---

# ირაკლი ღარიბაშვილი თავდაცვის მინისტრს ბოდიშის მოხდისკენ მოუწოდებს

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თავდაცვის სამინისტროს მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებას შეცდომას უწოდებს.

ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილიმა გუდაურში, ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა.

„მეც არ მომეწონა ეს განცხადება და მიმაჩნია, რომ ამ ტიპის პოლიტიკური შინაარსის განცხადება არ უნდა გაეკეთებინა თავდაცვის სამინისტროს. ვესაუბრე მინისტრს და თვითონაც ძალიან შეწუხებულია. მინდა, პირველ რიგში, მწუხარება გამოვთქვა და მივუსამძიმრო გარდაცვლილთა ოჯახს. ქედს ვიხრი ამ ადამიანის ხსოვნის წინაშე.

რაც შეეხება განცხადებას, მე მას არ ვიზიარებ, მიმაჩნია, რომ თავდაცვის სამინისტრო არ უნდა აკეთებდეს მსგავს განცხადებას, მაგრამ მინდა გთხოვოთ, რომ ამ ფაქტის დრამატიზებას ნუ მოვახდენთ. შეცდომა ყველას მოხდის, არავინ ვართ შეცდომისგან დაზღვეული. მაგრამ, შეცდომას სჭირდება აღიარება და ბოდიშის მოხდა, რასაც ჩემი აზრით თავდაცვის მინისტრი გააკეთებს“, - განაცხადა ღარიბაშვილი.

შეგახსენებთ, რომ თავდაცვის სამინისტრომ უკრაინაში დაღუპული ქართველის აღიარებას გრიგორაშვილის დაღუპვის გამო, სრული პასუხისმგებლობა ყოფილი ხერხეულიძის წარმომადგენლებს დააკისრა.

---

## უკრაინის მთავრობას ჩვენ მხარს ვუჭერთ . . . მაგრამ მათი

# არჩევანი აზიანებს ჩვენს ურთიერთობებს – ღარიბაშვიდი

უკრაინელი ხარხი საქართველოსთვის ძალიან ძვირფასია, მაგრამ უკრაინული მთავრობის მსგავსი ნაბიჯები აზიანებს ურთიერთობას ორ ქვეყანას შორის – ეს განცხადება ირაკლი ღარიბაშვიდმა გააკეთა და ის ყოფილი მაღარჩინოსნების უკრაინის მთავრობაში დანიშვნას კიდევ ერთხელ გამოეხმაურა.

“ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენს მიერ ძებნილი, ინტერპოლით ძებნილი ადამიანები კომფორტულად არიან მოკარათებული უკრაინის მთავრობაში. ეს საზიანოა უკრაინის მთავრობისთვის, მათი იმიჯისთვის. უკრაინის მთავრობას ჩვენ მხარს ვუჭერთ, პირადად ვესაუბრე პრეზიდენტ პოროშენკოს და პრემიერ იაცენიუკს, ვუთხარი, რომ ეს აზიანებს ჩვენს ურთიერთობებს და არ არის სასიამოვნო. მე ვერ ავუხსნი ქართველ ხარხს, რატომ შეიძლება დაინიშნოს ჩვენი მეგობარი უკრაინის მთავრობაში ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი ბურაბ ადვიშვიდი, რომელიც დანაშაულებრივი რეჟიმის ერთ-ერთი მთავარი წევრი იყო, რომლის დროსაც 300 ათასი ადამიანი გასამართლდა, ან ვანო მერაბიშვილის მოადგილე, რომელიც იყო წლების განმავლობაში იმ დანაშაულებრივი რეჟიმის გამამართლებელი. ეს პირველ რიგში მათთვის არის დამაზიანებელი, რადგან რაც საქართველოში ხდებოდა, ეს იყო სასტიკი რეჟიმი. სამწუხაროა, მაგრამ ეს მათი არჩევანია, ეს არის მათი სუვერენული უფლება. როგორ შეიძლება, ადექსანდრე კვიტაშვიდი, რომელიც პრაქტიკულად დაანგრია ჯანდაცვის სისტემა საქართველოში, უკრაინის ჯანდაცვის მინისტრი გახდეს. ეს არის მათი არჩევანი. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ მაქსიმალურად დავეხმაროთ უკრაინის მთავრობას, მაგრამ მსგავსი ნაბიჯები არ იქნება სასარგებლო ჩვენს ურთიერთობებში”, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვიდმა.

---

# მიხეიდ სააკაშვიდი მზად არის პუტინს დასაქმებაში დაეხმაროს

საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეიდ სააკაშვიდი რუსეთის პრეზიდენტის განცხადებას ეხმაურება და ამბობს, რომ ვლადიმერ პუტინს შეუძლია არ ინერვიულოს მის დასაქმებაზე.

მისი თქმით, თუ პუტინი თავის ღღევანდელ საქმიანობას დაანებებს თავს, მზად არის თავის უნივერსიტეტში დაასაქმოს.

„ძალიან ბევრ წამყვან უნივერსიტეტში მიმიწვიეს ამ ბოლო დღეებში. შემომთავაზეს უკრაინის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი ხერმძღვანელის პოსტიც და ამ ეტაპზე თავი შევიკავე. ჩემი ხერმძღვანელობით ინსტიტუტიც შეიქმნა ნიუ-იორკში და აშშ-ს სახერმძწიფო დეპარტამენტმა დიდი ხნის წინ მომცა სამუშაო ვიზაზე თანხმობა. ოღონდ პუტინმა თავი დაანებოს რასაც აკეთებს და შევანვე სიტყვას, მასაც მისცემენ ვიზას. მზად ვართ ავიყვანოთ ჩვენ ინსტიტუტში და ჩავაბაროთ რამე მემუარების დაწერა, ოღონდ ჩამოშორდეს იმ საქმეს რითაც ახლა არის დაკავებული“, – განაცხადა სააკაშვიდმა.

---

## თეა წუდუკიანს ბიძინა ივანიშვიდის პოლიტიკაში დაბრუნება გაუხარდება

იუსტიციის მინისტრ თეა წუდუკიანის განცხადებით, ის მოხარული იქნება, თუკი ექსპრემიერი ბიძინა ივანიშვიდი პოლიტიკაში დაბრუნდება.

„თუ პოლიტიკაში მობრუნდება ყოფილი პრემიერი, მე, როგორც ერთ ადამიანს ეს გამიხარდება.

მაგრამ რამდენადაც ვიცი, ის ამას არ აპირებს“, – განაცხადა თეა

წურუკიანმა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ გავრცედა ინფორმაცია, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში დაბრუნების თხოვნით მიმართოს.

---

## პუტინი საქართველოს ხედისუფლების უმაღლეს პირებს რუსეთში ეპატიჟება

რუსეთი მზადაა საქართველოს ხედისუფლებას მოსკოვში უმასპინძლოს, ამის შესახებ ყოველწიურ პრესკონფერენციაზე განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა.

„თუ საქართველოს ხედისუფლება შესაძლებლად ჩათვლის, ჩვენ მოხარულები ვიქნებით მათი ხედისუფლების ნებისმიერი წარმომადგენლის, პრეზიდენტის თუ პრემიერის მოსკოვში ხიდვით“- აღნიშნა პუტინმა.

---

## ვეუბნებოდი სააკაშვილს თმი არ დაიწყო-თქო, მაგრამ არ დამიჯერა და რეზიდენტი სახეზეა

## – ვლადიმერ პუტინი

რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განცხადებით, ის საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რომ ეუბნებოდა, რომ ომი არ უნდა დაწყებულიყო.

ამის შესახებ პუტინმა, დღეს გამართულ ყოველწლიურ ტრადიციულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„ჩვენ მიხეილ სააკაშვილთან მოლაპარაკებები გვქონდა. ვეუბნებოდი, მიხეილ, არ არის საჭირო ამის გაკეთება. ომი არ უნდა დაიწყო, თუმცა მან არ დამიჯერა და რეზურტატი სახეზეა. მე მესმის რომ ეს ქართველი ხარხისთვის ძალიან დიდი ტკივილია. ზუსტად ასე მოხდა მაშინ, როცა 1989 წელს საბჭოთა კავშირი დაიშალა, საქართველო გამოეყო მას, აფხაზეთმა კი განაცხადა, რომ რუსეთთან სურდა, საქართველომ მაშინაც სადამსჯელო ოპერაციები დაიწყო. ჩვენ არაფერს არ ვპროვოცირებთ“, – განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

---

## მარგვედაშვილის ბოროტი მამინაცვარი მშვიდად იყოს – მიხეილ სააკაშვილი

მარგვედაშვილისთვის დრო არ მაქვს... იქ ისეთი ბოროტი მამინაცვარი ელოდება... – სააკაშვილი

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოქმედ პრეზიდენტთან საიღუმრო შეხვედრებს არ გეგმავს, – ამის შესახებ სააკაშვილმა სტრასბურგში ჟურნალისტებს განუცხადა.

„იქ ისეთი ბოროტი დედინაცვარი და მამინაცვარი ელოდება და იმდენი ბოროტი თვარი და მეთვარყურე გამოატანეს, რომ ნამდვირად არ მინდა, ვინმე ჩავაყენო უხერხულ მდგომარეობაში. დღეს მარგვედაშვილისთვის

დრო არ მაქვს, ამდენად იყონ წყნარად, არანაირი საიდუმლო  
შეხვედრები არ შედგა“, – განაცხადა მიხეილ სააკაშიძმა.

---